სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №27

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშეს შედეგად.

ქ. ბათუმი

30 იანვარი 2019 წელი

ერთის მხვრივ, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნატო შერვაშიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ნარგულ"** (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის შპს „ნარგულ"-ის სატენდერო წინადადების საფუძველზე, (**NAT180020544**) ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტების** შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, ფასების ცხრილი, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.3. კლასიფიკატორის კოდი: **CPV 15100000**;15111100; 15112130.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური (საერთო) ღირებულება შეადგენს **275 810** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური (საერთო) ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის" ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვროს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფები:

1. ხელვაჩაურის საბავშვო ბაღი #1 - მის: ქ. ბათუმი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. #20.(დაბა ხელვაჩაური);

2. ერგეს საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ერგე;

3. თხილნარის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილნარი;

4. სალიბაურის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური;

5. განთიადის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი განთიადი;

6. ჭარნალის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭარნალი;

7. ორთაბათუმის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორთაბათუმი; 8. ზედა ახალშენის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი;

9. ქვედა ახალშენის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალშენი; 10. ჩიქუნეთის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩიქუნეთი;

11. აჭარისწყლის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჭარისწყალი; 12. ახალისოფლის საბავშვო ბაღი - მის.: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალისოფელი;

13. მახოს საბავშვო ბაღი - მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო.

14. ქედქედის საბავშვო ბაღი - მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედქედი.

15. კირნათის საბავშვო ბაღი - მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი კირნათი.

16. ხელვაჩაურის საბავშვო ბაღი #2- მის: ქ. ბათუმი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. #20.(დაბა ხელვაჩაური);

17. ფერიის საბავშვო ბაღი - მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფერია.

18. მახინჯაურის საბავშვო ბაღი - მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახინჯაური.

არსებულ მისამართებს შესაძლებელია დაემატოს სხვა მისამართებიც.

4.2. საქონლის მიწოდება „შემსყიდველისათვის" უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა დღის 10:00 საათამდე.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებამი დაცული უნდა იყოს შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო პირობები, ტემპერატურა, ჰიგიენური პირობები და ა. შ.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა არ აითვისოს სრულად(ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ათვისება განისაზღვრება ბავშვთა ფაქტობრივი გამოცხადების შესაბამისად);

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს შესყიდვის ობიექტი განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომადგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

5. სტანდარტები

5.1. საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი სანიტარული წესები და ნორმები" -ს მოთხოვნებს.

5.2 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს აჭარის ტერიტორიაზე სპეციალური ფართი, რომელიც აღჭურვილი და უზრუნველყოფილია სპეციალური სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და პირობების გათვალისწინებით, სადაც მოხდება წინა დღით სასაკლაოზე დაკლული საქონლის ხორცის (რომელზეც დატანებული უნდა იყოს სპეციალური დამღა) დამუშავება და დახარისხება გაერთიანების მიერ გამოყოფილი თანამშრომლის თანდასწრებით (პერიოდულად) და გაერთიანების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (საბავშვო ბაღებში) დისტრიბუცია გაერთიანების მიერ მიწოდებული რაოდენობების შესაბამისად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი"შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

6.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

6.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

6.4. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.5. მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის ეტაპობრივად მოწოდების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებაში „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღებაჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 7.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

8.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2. აწარმოოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

8.1.3. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი;

8.1.4. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა შესაბამისი სამსახურის მეშვეობით. ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს „მიმწოდებლის" მიერ.

8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" წინამდებარეხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

8.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.4.1.მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

8.4.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით;

8.4.3. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

8.4.4.საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საშუშაო პირობებით;

8.4.5. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს 2 (ორი) საათის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,20%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული ჯარიმის ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" გაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

11.2.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

11.2.2 თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

11.2.3 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად იმავე პირობის განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

11.2.4 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომამდე ამკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტი) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულად შესრულებას;

11.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსრულებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გაცემული „სადაზღვეო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"-ს მიერ 13 790,50 (ცამეტი ათას შვიდასოთხმოცდაათი ლარი ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით (ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია N FG/19 017352), აღნიშნულ გარანტიას შემსყიდველი ორგანიზაცია გამოიყენებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში;

12.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის (სამუშაოების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების, აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის) შემთხვევაში მიმწოდებელს გარანტია არ დაუბრუნდება და შემსყიდველი განახორციელებს მის რეალიზებას;

12.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია დაუბრუნოს მიმწოდებელს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში;

12.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია მოქმედებს 2020 წლის 05 მარტის ჩათვლით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულებას შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებამშეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1. ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობები, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და თითეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

„ შემსყიდველი "	„ მიმწოდებელი "
ა(ბ)ი3 ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება	შპს „ ნარგულ "
ს.კ. 448382571	ს.კ. 445474656
ტელ : 25 90 81	ტელ : 591980303
მის : ქ. ბათუმი, ფანასკერტელ ციციშვილის ქ N 20	მის : სვიშევსკის ქ#230
რეკვიზიტები:	რეკვიზიტები :
ა.ნ. 300739800	Procredit Bank" ; ბ/კ. MIBGGE22
სახელმწიფო ხაზინა, კოდი : 040101	ა.ნ. GE91PC0033600100051800
დირექტორი : ნატო შერვაშიძე	დირექტორი : სიმონ გორგაძე
_____	_____

KHELVACHAURI KINDERGARTEN UNION

Подписано цифровой подписью: KHELVACHAURI KINDERGARTEN UNION
Дата: 2019.02.04 15:29:11 +04'00'

Simon Gorgadze

Подписано цифровой подписью: Simon Gorgadze
Дата: 2019.02.04 16:46:50 +04'00'

ინფორმაცია მიახლოებული საქონლის რაოდენობის,ტექნიკური მაჩვენებლების და ფასების შესახებ

საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი
საქონლის ხორცი	ხორცი საქონლის (ხბოები, ბოლქვიანი ულები,დამზადებული,გამდებული სუფი პროდუქტისთვის დანიშნულებული,ეუხი ლენის ყარეგ ბეთსდეკნი ხარისხის საქონლის ხორცი უნდა იყოს ახალგაყინული და მოყვანილი ფაფუნული და ზედაპირ გამლღვარ ხორცის ნიშნების დაუშვებელია ითითოეულ მოყვანილ ყარტის თან ახლდეს ერთი ვეტ ლაბორატორიიდან მისი ეარგისიანობის შესახებ(ფორმა42) ხორცი უნდა მიეწოდოს დაცლიდან 12-24 საათის განმავლობაში საქონლის ხორცის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მანქანა-რეფრეჟერატორებიანი,ეროვნულ საფეხ დაცული იქნეს ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა ფილიალში საქონლის ყოველ მოყვანილზე წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ვეტერინარული დასკვნა.	კგ	12043	14,89	179320,27	საქართველო	შ.პ.ს. "ელენიკო"
ფრინველის (ქათმის) ხორცი	ხორცი ქათმისტყავიანი,ადგილობრივი წარმოების,მაგრეული და თავ-ფეხის ჭარეგ 2-3,5 კგ ფონის. თითოეულ მოყვანილ ყარტის თან ახლდეს ერთი ვეტ ლაბორატორიიდან მისი ეარგისიანობის შესახებ. საქონლის მოყვანისას დაცული უნდა იყოს სანიტარიული ნორმები.ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მანქანა-რეფრეჟერატორებიანი,ეროვნულ საფეხ დაცული იქნეს ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა ფილიალში საქონლის ყოველ მოყვანილზე წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ვეტერინარული დასკვნა.	კგ	15053	6,41	96489,73	საქართველო	შ.პ.ს. "ელენიკო"
სულ:		275810					

პრეზიდენტის ხელმოწერა _____

Simon Gorgadze

Подписано цифровой подписью: Simon Gorgadze
Дата: 2019.02.04 16:49:27 +04'00'